საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/4691
29/11/2024

4691-01-2-202411291806

შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292)
დირექტორს ნათია სიჭინავას

მის: ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე 56-ე ქუჩა N7
მის: ქ.თბილისი,

ელ.ფოსტა: natiasichi000@gmail.com

ქალბატონო ნათია,

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 6 ივნისის №04/501 ბრძანებით, „მოქალაქე განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის- შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2024 წლის 6 ივნისის №04/501 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში **ჩართო მოქალაქე** **3/ნ** **') 2024 წლის 27 ნოემბრის N01/6056** განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე **5 (ხუთი) სამუშაო** დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია **მოქალაქე** **(3/ნ** **2024 წლის 27 ნოემბრის N01/6056** განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" და „ბ[1]" ქვეპუნქტებისა და კანონის 34-ე მუხლის 4[1] პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს დააკისროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ამ ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მოვაჭრის მიერ იმავე ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 1 000 ლარი.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და პროცედურის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

დანართი: „4" ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/501
06.06.2024

ბრძანება

501-01-4-202406061529

მოქალაქე

განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე (პ/ნ) 2024 წლის 28 მაისის №01/2830 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება აქოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 5 ივნისის №03/623 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე